



ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი: X და Y საქართველოს წინააღმდეგ

2015 წლის 13 ივლისს, გაეროს ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა (შემდგომში, “კომიტეტი”) მიიღო გადაწყვეტილება საქმეში [X და Y საქართველოს წინააღმდეგ \(განაცხადის No.24/2009\)](#), რომელიც საერთაშორისო ორგანოს მიერ საქართველოში ოჯახში ძალადობის შესახებ მიღებულ პირველ გადაწყვეტილებას წარმოადგენს. კომიტეტის საბოლოო გადაწყვეტილება 2016 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა. საქმეს ერთობლივად აწარმოებდნენ მიდლსექსის უნივერსიტეტის “ადამიანის უფლებების ევროპული ცენტრი” (EHRAC) და საქართველოში მოქმედი არა-სამთავრობო ორგანიზაცია [“კონსტიტუციის 42-ე მუხლი”](#).¹ საქმის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ.

მოკლე შინაარსი

გაეროს ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა ცოტა ხნის წინ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილ პირველ ინდივიდუალურ კომუნიკაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სახელმწიფოს მიერ ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ადექვატური რეაგირების განხორციელების ვალდებულების შეუსრულებლობას საქმეში [X და Y საქართველოს წინააღმდეგ \(კომუნიკაციის No. 24/2009, 2015 წლის 2015 ივლისი\)](#). კომუნიკაცია კომიტეტში დედა-შვილმა წარადგინა. ისინი სახელმწიფოს ედავებოდნენ, შესაბამისად, მეუღლისა და მამის მიერ მიყენებული ხანგრძლივი ფიზიკური ძალადობის, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობის პრევენციის, გამოძიებისა და დამნაშავეს დასჯის ვალდებულების შეუსრულებლობას. კომიტეტმა დადგინდა დადგენილად მიიჩნია “ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის” (შემდგომში, “კონვენცია”) ყველა ის დარღვევა, რომელსაც განმცხადებლები სახელმწიფოს ედავებოდნენ.² საქართველოს მთავრობის მიმართ მიღებულ რეკომენდაციებში, კომიტეტი მთავრობას მომჩივნებისთვის ადექვატური ფინანსური კომპენსაციის გადახდას მოუწოდებს. კომიტეტი აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობამ ოჯახში

¹ საქმე თავდაპირველად წარადგინა ორგანიზაციამ INTERIGHTS, რომელიც მომჩივნებს წარმოადგენდა 2014 წლის მაისში ორგანიზაციის დახურვამდე.

² საქართველომ კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 1994 წლის 26 ოქტომბერს, ხოლო ფაკულტატური ოქმისა (რომლის საფუძველზეც ხდება კომიტეტში ინდივიდუალური კომუნიკაციების წარდგენა) 2002 წლის 1 აგვისტოს.



ძალადობის სხვა მსხვერპლთათვის უნდა უზრუნველყოს დროული და ადეკვატური მხარდაჭერა; გაააქტიუროს კამპანიები ცნობიერების ასამაღლებლად და გაატაროს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან დაკავშირებით; დააწესოს სავალდებულო ტრენინგები სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისათვის; და მოახდინოს [“ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის” \(სტამბოლის კონვენცია\) რატიფიცირება.](#)

საქართველოში არსებული კონტექსტი

“ასეთი პატარა ქვეყნისთვის, ოჯახში ძალადობამ ეპიდემიურ პროპორციებს მიაღწია.”

[\(BBC News, 2014 წლის ნოემბერი\)](#)

ქალთა წინააღმდეგ ძალადობა მწვავე პრობლემაა საქართველოში. ადგილობრივი არა-სამთავრობო ორგანიზაციის [“ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის”](#) მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში ქალთა ორი მესამედი თავისი ცხოვრების მანძილზე ერთხელ მაინც ყოფილა ძალადობის მსხვერპლი. არსებული მონაცემებით, საქართველოში წელიწადში [25-დან 30-მდე ქალი კვდება თავისი პარტნიორის ხელით.](#) ასეთ პატარა ქვეყანაში მასშტაბურად ჩანს ზემოაღნიშნული ციფრები და თანმდევი საზოგადოებრივი აღშფოთება და შოკი. 2014 წელს ოჯახში ძალადობის ინცინდენტების [მედიაში ფართოდ გაშუქების](#) მიუხედავად, ქართული საზოგადოება ქალთა წინააღმდეგ ოჯახში ძალადობასა და სექსუალურ ძალადობას კვლავ პირადი ცხოვრების საკითხებად მიიჩნევს, რომლებიც ოჯახში, დახურული კარების მიღმა უნდა გადაიჭრას. შედეგად, ქალები ხშირად ძალადობის შემთხვევებს პოლიციას არ ატყობინებენ, ხოლო შეტყობინების მიღების შემთხვევაში, ხშირად პოლიცია საჭირო ქმედებებს საერთოდ არ ახორციელებს ან ახდენს მცირე რეაგირებას, ისიც დაგვიანებით. მაგალითად, მაკა წივწივაძე, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი იყო, [2014 წლის ოქტომბერში მისმა ქმარმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა](#) კოლეგების თვალწინ. მანამდე პოლიციაში შეტანილი არაერთ საჩივარს მსხვერპლის მეუღლის წინააღმდეგ არანაირი დამცავი რეაგირება არ მოჰყოლია. კიდევ ერთი ბოლოდროინდელი მაგალითია [სალომე ჯორბენაძის](#) საქმე. ახალგაზრდა ქალზე, რომელიც იარაღის მუქარით 17 წლის ასაკში მოიტაცა პოლიციის თანამშრომელმა და ძალადობით მოყვანა ცოლად, სისტემატურად ხორციელდებოდა სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობა. მიუხედავად იმისა, რომ სალომემ პოლიციას დასახმარებლად არაერთხელ მიმართა, არანაირი პრევენციული ღონისძიება არ ყოფილა მიღებული მისი



ქმრის წინააღმდეგ, რომელმაც სალომე საბოლოოდ საზოგადოებრივ პარკში 2014 წლის ივლისში ცეცხლსასროლი იარაღით სიცოცხლეს გამოასალმა.

საქართველოს მთავრობამ გენდერზე დაფუძნებული დისკრიმინაციის მზაკვრულ ფორმასთან ბრძოლა დაიწყო 2006 წელს, [“ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ”](#) კანონის მიღებით (შემდგომში, “კანონი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ”). კანონი ითვალისწინებს, *inter alia*, დროებით დამცავ ღონისძიებებს დამცავი და შემაკავებელი ორდერების სახით, რომელთა გაცემის უფლებამოსილება აქვს, შესაბამისად, პოლიციასა და სასამართლოებს. კანონი სახელმწიფოს ავალდებულებს, უზრუნველყოს თავშესაფარი და სოციალური სერვისები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის და მათი შვილებისთვის, წარმართოს ცობიერების ასამაღლებელი კამპანიები, რათა ადამიანები ფლობდნენ ინფორმაციას თავიანთი უფლებების შესახებ, ასევე ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს ვალდებულებების შესახებ. კანონმდებლობის მიღების შემდეგ, “სისხლის სამართლის კოდექსში” განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები [ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაციის მიზნით](#). თუმცა, დღემდე სახელმწიფოს არ მოუხდენია [ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის](#) სრულფასოვანი და ეფექტური იმპლემენტაცია - მაგ. “ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ” საქართველოს წინააღმდეგ რამოდენიმე საქმეში დაადგინა, რომ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ პოლიცია ხშირად არ იყენებს ნულოვანი შემწყნარებლობის მიდგომას; აგრეთვე, ისინი შესაბამისად და შესაფერისი მგრძობელობით არ ეპყობიან დაზარალებულთა საჩივრებს.

საქართველოში ქალთა უფლებების აქტივისტებისა და არა-სამთავრობო ორგანიზაციების მიერ 2014 წელს ქალთა რამოდენიმე გახმაურებული მკვლევარობასთან დაკავშირებით [გამართული პროტესტების შემდეგ](#), სახელმწიფომ დადო პირობა, რომ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა პრიორიტეტული საკითხი იქნება. 2015 წლის აგვისტოში იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა კომპლექსური ღონისძიებები, რომელიც საქართველოს 2016 წლის შემოდგომამდე [სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებასთან კიდევ უფრო დაახლოვებს](#). აღნიშნულ ღონისძიებებში შედის “სისხლის სამართლის” კოდექსში შესაბამისი ცვლილების განხორციელება “ადევნების” კრიმინალიზაციის მიზნით, რაც პოლიციას საშუალებას აძლევს, შემაკავებელი ორდერი სასამართლოს ნებართვის გარეშე გასცეს. მთავრობამ 2015 წლის ნოემბერში დაიწყო [ქალთა წინააღმდეგ ძალადობის დაძლევის 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმაზე](#) მუშაობა. [ახალი სამოქმედო გეგმის](#) გამოქვეყნება იგეგმება 2016 წლის გაზაფხულზე. 2016 წლის თებერვალში საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა წინააღმდეგ ძალადობის საკითხებზე



დუბრაჟკა სიმონოვიჩი. ვიზიტის ფარგლებში სპეციალური მომხსენებელი შეხვდა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, რომლებიც ქალთა წინააღმდეგ ძალადობის დამლევის საკითხებზე მუშაობენ, მთავრობის წარმომადგენლებსა და დაზარალებულებს. სპეციალური მომხსენებლის საბოლოო ანგარიში და რეკომენდაციები საქართველოს მთავრობის მიმართ 2016 წლის ივნისში გამოქვეყნდება. შეხვედრებზე ვიზიტის წინასწარ დასკვნებზე საუბრისას, სპეციალურმა წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა:

“ოჯახში ძალადობა აღიქმება პირად საქმედ და არა საზოგადო შემფოთების საგნად, განსაკუთრებით რეგიონებში... ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალებს, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას, დაარღვიონ ეს საშინელი ტაბუ, საზოგადოება - განსაკუთრებით სოფლად - და/ან პოლიცია აიძულებს, დარჩნენ მოძალადეებთან და ხდება არა მარტო მათი ხელახალი ვიქტიმიზაცია, არამედ მათ ემუქრებათ ახალი ძალადობის რისკიც.”³

საქმე

საქმე X და Y საქართველოს წინააღმდეგ უკავშირდება ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის მიღებამდე განვითარებულ მოვლენებს. აღნიშნული კანონმდებლობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოს სხვა ასპექტების არასრული იმპლემენტაციის კუთხით არსებული სისტემური პრობლემების გათვალისწინებით, კომიტეტის დასკვნა და რეკომენდაციები სახელმწიფოს სწორედ რომ დროულად შეახსენებს ქალთა წინააღმდეგ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებით კონვენციის ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს, რათა სახელმწიფომ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ განახორციელოს სრულფასოვანი ღონისძიებები და ქალები და ბავშვები დაიცვას იმ ტანჯვისგან, რაც მომჩივნებმა განიცადეს.

X-ის წინააღმდეგ ძალადობა დაიწყო 1987 წელს, როდესაც მისმა მომავალმა მეუღლემ წვეულებაზე გააუპატიურა. მალევე X-ი ცოლად გაჰყვა მას. საქართველოში არსებული საზოგადოებრივი დამოკიდებულებების გამო, რომლის თანახმაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქორწინებამდე ქალიშვილობის სიწმინდეს, მომჩივანმა ჩათვალა, რომ ქალიშვილობის დაკარგვის გამო მას ცოლად აღარავინ მოიყვანდა. გათხოვების შემდეგ X-მა ხუთი შვილი გააჩინა, ხოლო პირველი შვილის გაჩენის შემდეგ სამსახურს დაანება თავი. X-ის მეუღლე შვილებზე გამუდმებით ძალადობდა, ხშირად

³ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ.

<http://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=17087&LangID=E#sthash.TiLOsR8X.dpuf>



უყვიროდა და ცუდად მოქცევისთვის ან ერთმანეთში კამათისთვის ფიზიკური ძალადობით სჯიდა. ქმარი X-ს სცემდა, თუკი იგი ბავშვების დასაცავად ჩაერეოდა ან წვრილმან ოჯახურ საკითხებზე კამათს დროს. მომჩივნის ქმარს პოლიციამ ერთადერთხელ მოსთხოვა, დაეწერა ხელწერილი იმის შესახებ, რომ ოჯახის წევრების წინააღმდეგ ძალადობას აღარ გამოიყენებდა. აღსანიშნავია, რომ ხელწერილი არ არის აღსრულებადი. X-ის ქმარმა სექსუალური ძალადობა განახორციელა ორ შვილზე (მათ შორის Y-ზე). მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანმა ფიზიკური და სექსუალური ძალადობის ინციდენტებთან დაკავშირებით პოლიციას არაერთხელ მიმართა (სხვა მტკიცებულებებთან ერთად ინციდენტები დადასტურებულია X-სა და Y-ის ჩვენებებითა და სამედიცინო ცნობებით, რომლის თანახმადაც ქმარმა X-ს ფიზიკური დაზიანებები მიაყენა), მისი ბრალდებები არც ერთხელ არ ყოფილა გამოძიებული, ხოლო მისი ქმრის მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა.

2009 წელს განმცხადებლებმა კომიტეტს [კონვენციის ფაკულტატიური ოქმის თანახმად](#) მიმართეს. თავიანთ საჩივარში ისინი მიუთითებდნენ, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამოყენება ოჯახის წევრი ქალებისა და ბავშვების ფიზიკური და სექსუალური ძალადობისგან დასაცავად, ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის მხსვერპლთა თანაბარი დაცვა კანონის შესაბამისად, და მათი დაცვა ოჯახში ძალადობისგან (რის გამოც, ისინი დაექვემდებარნენ წამებას). შედეგად, სახელმწიფომ მათ წინააღმდეგ დაარღვია კონვენციის [1, 2\(ბ\)-\(ვ\) და 5\(ა\) მუხლები](#). მომჩივნები აგრეთვე მიუთითებდნენ სახელმწიფოს სათანადო მზრუნველობის ვალდებულებებზე (კონვენციის 1 და 2 მუხლის შესაბამისად, წაკითხული კომიტეტის [“ქალთა წინააღმდეგ ძალადობის შესახებ No. 19”](#) რეკომენდაციასთან ერთობლიობაში), რომლებიც უკავშირდება არა-სახელმწიფო აქტორების მიერ ოჯახში ძალადობის პრევენციას, გამოძიებასა და დამნაშავეთა დასჯას. საჩივრის კომიტეტში წარდგენამდე, მომჩივნებმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართეს, რომელმაც სამწუხაროდ მათი განაცხადი დაუშვებლად ცნო. აღნიშნულმა კომიტეტს ხელი არ შეუშალა, განეხილა მოცემული საქმე. კომიტეტმა 2013 წელს საჩივარი დასაშვებად ცნო იმ მოტივით, რომ იგი როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული თვალსაზრისით განსხვავდებოდა ევროპულ სასამართლოში წარდგენილი განაცხადისაგან.

კომიტეტის გადაწყვეტილება

2015 წლის 13 ივლისს საჩივრის არსის შესახებ მიღებული [გადაწყვეტილების](#) თანახმად, კომიტეტმა დაადგინა სახელმწიფოს მიერ იმ ვალდებულებების



დარღვევა, რომელსაც ითვალისწინებს კონვენციის მე-2 მუხლის (ბ)-(ვ) პუნქტები, 1 და 5(ა) მუხლებთან და ასევე, კომიტეტის [“ქალთა წინააღმდეგ ძალადობის შესახებ No. 19”](#) რეკომენდაციასთან ერთობლიობაში. კერძოდ, კომიტეტმა დაადგინა სახელმწიფოს მიერ შემდეგი ვალდებულებების შეუსრულებლობა:

- შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა ზომების, მათ შორის სანქციების მიღება, იქ, სადაც ეს საჭიროა, რომელიც აკრძალავს ქალთა ყოველგვარ დისკრიმინაციას; ქალთა უფლებების იურიდიული დაცვა მამაკაცებთან თანაბარ საფუძველზე და კომპეტენტური ეროვნული სასამართლოების და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით ქალთა ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფა დისკრიმინაციისგან;
- თავის შეკავება ქალთა მიმართ რაიმე დისკრიმინაციული აქტის ან მოქმედების ჩადენისაგან და უზრუნველყოფა იმისა, რომ სახელმწიფო ორგანოები და დაწესებულებები მოქმედებდნენ ამ ვალდებულების შესაბამისად;
- ყველა საჭირო ზომის მიღება რომელიმე პირის, ორგანიზაციის ან საწარმოს მხრივ ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად;
- ყველა საჭირო ზომის მიღება, მათ შორის საკანონმდებლოს, იმ მოქმედი კანონების, დადგენილებების, ადათ-წესების და პრაქტიკის შესაცვლელად ან გასაუქმებლად, რომლებითაც დაშვებულია ქალთა დისკრიმინაცია; და
- მამაკაცთა და ქალთა ქცევის სოციალური და კლუტურული მოდელების შეცვლა, იმ ცრურწმენების აღმოფხვრისა და იმ ადათ-წესების და სხვა პრაქტიკის გაუქმების მიზნით, რომლებსაც საფუძვლად უძევს ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის, ან მამაკაცთა და ქალთა სტერეოტიპულობის იდეა.

ზემოაღნიშნული დასკვნის გათვალისწინებით, კომიტეტი საქართველოს მთავრობას [რეკომენდაციას უწევს](#), გადადგას შემდეგი კონკრეტული ნაბიჯები მომჩივანთა დარღვეული უფლებების აღსადგენად და სხვა ქალებისა და ბავშვების დასაცავად იმ ტანჯვისგან, რაც მომჩივნებმა განიცადეს.

- მომჩივნებისთვის ადექვატური ფინანსური კომპენსაციის გადახდა, მათი უფლებების დარღვევის სიმძიმის შესაბამისად;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისა და მათი შვილების უზრუნველყოფა დროული და ადექვატური მხარდაჭერით, მათ შორის თავშესაფრითა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერით;
- ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების გააქტიურება და ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გატარება ქალთა წინააღმდეგ



- ძალადობასთან დაკავშირებით;
- [სტამბოლოს კონვენციის](#) რატიფიცირება, და
- მოსამართლეების, ადვოკატების და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების, მათ შორის პროკურორების სავალდებულო მომზადება “ოჯახში ძალადობის შესახებ” კანონის გამოყენების, მათ შორის ოჯახში ძალადობის განსაზღვრებისა და გენდერული სტერეოტიპების შესახებ, აგრეთვე კომიტეტის კონვენციის, ფაკულტატიური ოქმისა და კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციების (განსაკუთრებით, No. 19 რეკომენდაციის) შესახებ.

კომიტეტის რეკომენდაციების განხორციელება

“ადამიანის უფლებათა ევროპული ცენტრი” და “კონსტიტუციის 42-ე მუხლი” თანამშრომლობენ საქართველოში მოქმედ არა-სამთავრობო ორგანიზაციებთან, კომიტეტის რეკომენდაციების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად. 2016 წლის თებერვალში, EHRAC-ის იურისტი კეიტ ლევინი და “კონსტიტუციის 42-ე მუხლის” იურისტი ელენა ფილევა შეხვდნენ გაეროს სპეციალურ მომხსენებელს მისი საქართველოში ვიზიტის ფარგლებში და კომიტეტში შეტანილი საქმის შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია. მათ სპეციალურ მომხსენებელს სთხოვეს, საქართველოს მთავრობას კომიტეტის რეკომენდაციების დროულად და სრულფასოვნად განხორციელებისკენ მოუწოდოს. EHRAC-ის აგრეთვე კონსულტაციას უწევს ერთ-ერთ ქართულ არა-სამთავრობო ორგანიზაციასა და ქალთა უფლებების აქტივისტებს, კომიტეტის რეკომენდაციით გათვალისწინებული ყველაზე აქტუალური საკითხების გადაჭრასთან დაკავშირებით, მათ შორის: ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უზრუნველყოფა ადექვატური თავშესაფრით; არსებული თავშესაფრებისა და სხვა სერვისების გაფართოება; ტრენინგის/მხარდაჭერის გაუმჯობესება ძალადობის მსხვერპლი ქალების ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობის მიზნით; ქალთა ინფორმირებულობის გაზრდა დამცავი ორდერების შესახებ და მათი მიღების გზებზე; პოლიციასა და პროკურატურაში გენდერულად მგრძნობიარე მიდგომების დანერგვა ოჯახში ძალადობის გამოძიების პროცესში; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ზუსტი დოკუმენტირება პოლიციის თანამშრომლების მხრიდან.